

გიორგი ჩინჩალაძე

„გავეროპელება“ ძველ თბილისში
(ეთნოლოგიური ნარკვევი)

ცნობილია, რომ კონფლიქტურ, კრიზისულ სიტუაციაში ავლენს ადამიანი თავის თავს; იკვეთება მისი ნება, არჩევანი. ხალხური სიბრძნე ამბობს, „განსაცდელი კაცის სიმტკიცეა“, რაც დროსა და სივრცეზე განვრცობით შეიძლება განვავზოგადოთ მთლიანად ერზე, როგორც „ისტორიულ პიროვნებაზე“.¹

ერთი ასეთი წინააღმდეგობრივი საფეხურიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მე-19 საუკუნეა, რუსული წესრიგის დამკვიდრების ხანა. „გათიშე და იბატონეს“-ს იმპერიული პოლიტიკა ერთი ხატოვანი თქმით იყო „მოყვრულად მტრობა და ალერსობა“ [8:141]. მიზანი კი არარუსი ხალხების „გარუსება“, რასაც თავად რუსების აზრით კავკასიის „ნახევრად ველური“, „აზიელი“ ხალხებისათვის „სიკეთე“ უნდა მოეტანა და ამ „ცივილიზატორულ“ მისიაში ბრიტანეთის იმპერიაზე წარმატებულად მიაჩნდათ თავი. „ალერსის“, „დამოყვრების“ პოლიტიკის წარმატებული გამტარებელი იყო მეფისნაცვალის მ. ვორონცოვი. მისი პოლიტიკა წვრილმანებშიც „გარუსების“ ამ სამარცხვინო გეგმის ნაწილი იყო; ყოველ სამუშაო დღეს იმით იწყებდა, რომ ქალაქის ახალ მშენებლობებს ჩამოივლიდა, კალატოზებს საქმიან შენიშვნებს მისცემდა, მერე მედიანზე ჩავივლიდა, ბაყლებს გაესაუბრებოდა. უკან ერთი ყაზახრუსი დაჰყვებოდა. ხელში „კალოშები“ და ქოლგა ეჭირა, ვინიცობაა ამინდი გაფუჭებულიყო. ასეთი „დემოკრატიულობა“ ასიმილაციის პოლიტიკის ნაწილი იყო და იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, თავად რუსები ამბობდნენ – აქამდე უნდა დაგვენიშნა ვორონცოვი კავკასიაში. ამ პოლიტიკამ შეგვადლებინა კავკასიის სრული დამორჩილება [2:192-194]. „ის დრო ვარანცოვისა საქართველოში ჩუენგნით გამოუცდელი სულ სხუა გუარი მოსატყუებელი დრო იყო ჩუენი ვარანცოვისაგან. იმის ცხრა წლის მართულობა კავკაზია საქართველოში სულ რუსეთის ამაღლება იყო, ცფიერულად ჩუენი ნახდენა“ [2].

¹ხალხი (ეთნოსი) ხშირად გაიგივებულია მის „ძირითად პიროვნებასთან“, ანუ ხასიათის იმ თვისებებთან, განწყობილებებთან რაც უპირატესია, დამახასიათებელია ამ ხალხისათვის. ამიტომაც ეთნოსს ხშირად განსაზღვრავენ, როგორც პიროვნული „მე“-ს სოციალურად განცხადებულ ფორმას, როგორც საერთო მითის (მსოფლხედვის), საერთო ისტორიული ბედის მქონე განსაკუთრებულ ერთობას.

მისი მმართველობიდან ფუფუნება და კომფორტი ფართოდ შლის თავის „ოქროს ფრთებს“. ჩნდება ფრანგული მოდის მაღაზიები, საკონდიტროები, გასტრონომები, უცხო სანახაობები. თბილისისკენ მომავალი გზები გადაჭედებულია ევროპული საქონლით დატვირთული ალალებით. აქ უკვე იშოვიდით ყველაფერს, რასაც ყველაზე დახვეწილი გემოვნებაც კი ინატრებდა გასტრონომიის თუ პარფიუმერიის სახით. მარტო ერთი წლის განმავლობაში იმდენი ლუდი შემოიტანეს, მთელი ქალაქის შადრევნებს დააგუბებდაო [11:407]. „კახურსა და ნემენცურ ლუდს მოსდით დიდი ჩხუბი, არ ვიცით ვის დარჩება მეიდან“ [5:26]. ლეჩაქი ფრანგული ქუდით შეიცვალა, ფაფახი ცილინდრით, ჩოხა პალტოთი, მამა-პაპური ხანჯალი მოქალაქის ხელჯონხით. ქადა-ნაზუქების მაგიერ ბლინები, მოხარშულ ვარიას დაბეგვილ ხორცს – კატლეტებს ამჯობინებდნენ, ბოზბაშს კი – ნემენცურ სუფს. ვისღა ახსოვდა „აბანოში ლხინი“ თუ ანთებული წმინდა სანთლებით ქუჩაში სიარული, როცა დღესასწაულიდან მობრუნებული ამქრები, ყვავილების თაიგულში ჩარჭობილი ანთებული სანთლებით, მწყობრად – დასტობით შემოდიოდნენ ქალაქში. ერთი ხატოვანი თქმით, ქართველების ზნის გამოცვლა სწორედ რომ სტომაქით დაიწყო. ინტენსიურად იწყეს ჩამოსვლა მოხეტიალე საცირკო თუ თეატრალურმა დასებმა. მეეტლისათვის რომ გებრძანებინათ თეატრში წაყვანა, აუცილებლად დაგეკითხებოდათ „რომელში?“ ასე რომ, ქალაქელები მომრავლებული სანახაობისაგან უკვე ლამის მოწყენილობას განიცდიდნენ. ეს მაშინ, როდესაც მეზობელ ხალხებში თეატრის ხსენებაც არ იყო. თბილისში – კავკასიის ამ სავაჭრო, სახელოსნო და კულტურულ დედაქალაქში, იმატა საშოვარზე ჩამოსულთა რიცხვმა, რის გამოც თბილისს „კავკასიის კალიფორნიას“, „ბაბილონის გოდოლს“ უწოდებდნენ [8:26]. საშუალო შეძლების ოჯახიც სახლის მოწყობას უკვე ევროპულად ცდილობდა – რბილი ავეჯითა და სარკეებით. შენდებოდა ახალი, ევროპული ტიპის უბნები. მაშინ, როდესაც ერევნის მოედნიდან მარცხნივ გადადგამდით ნაბიჯს და „ნახტომი აზიაში“. ამ ძველ ნაწილს მიწაზე ფეხის დაუდგმელად მოივლიდით, მიწურთა ბინებით. ამ „აზიურ“ უბანს უცხოელები ქაიროსა და კალკუტას ამსგავსებდნენ. სომხურ ბაზარს კი მნახველზე კარნავალის შთაბეჭდილება ჰქონდაო. ასეთი კონტრასტის გამო ქალაქს „კორსახოვან იანუსს“ ადარებდნენ. მოკლედ, ყველაფერი გზას უთმობდა „ევროპეიზმს“ – ფუფუნებასა და კომფორტს, რაც თოვლივით ფარავდა მოქალაქეთა ფინანსურ დანაზოგებს. აქაურ სიძვირეს კი უკვე ინგლისისას ადარებდნენ.

მაგრამ, რამდენადაც ეს კულტურული პროგრამა ასიმილაციის პოლიტიკის ნაწილი იყო, ცივილიზაციის საჭიროებათა ზრდის კვალბაზე იზრდებოდა სხვადასხვა სოციალური მანკიერებები,

რაც მანამდე ხალხური გამოცდილების – ადათის ძალით იყო ზღვარ-დადებული.² გაეხსენოთ ხალხური სიბრძნე (მსოფლხედვა) – „სირცხვილს უჭირავს ქვეყანა“. დროთა კავშირის მოშლა კი ამ ასიმილაციურული პოლიტიკის მიზანი იყო. თავად რუსები ამბობდნენ, მას შემდეგ რაც ცხოვრების მამა-პაპური მოწყობა დაივიწყეს, ქართველებში ლოთობამ და აგრესიამ იძალაო [II:406]. ახალი წესრიგის შედეგი იყო ქუჩებში ლოთების და მანანალების მომრავლება, როცა მანამდე ხსენებაშიც არ იყვნენ. დაიკარგა ცხოვრების მშვიდი, აუჩქარებელი რითმი, ურთიერთობების გულწრფელი, დარბაისლური ხასიათი ანუ „სული ძველიტურებს ერთობისა და პატიოსნების“ [5:26]. გახშირდა კრიმინალი, ადრე კი სახლის კარებს ღამითაც არ კეტავდნენო. მოიშალა ქართველთა ქვეყნიურ სამოთხედ წოდებული „ლურჯი სუფრები“ – ვაზის ბაღებში მოლხენა. ისინი სასახლეებში ბალ-მასკარადებმა და „ტანცმა“ შეცვალა. ხატობა-დღეობებზეც რუსულის მტვრევას ცდილობდნენ, „ღამა-კავალერ-კომპლიმენტობდნენ“ [5:26]. დაიკარგა ყარაჩოღელთა ქუჩის პოეზია, რიგის პური – საკვირაო საერთო სუფრები. „ყეენობის“ მაგიერ მწვანე მაუღზე კარტით ბრძოლა შემოიღეს. ქალაქური ყოფის „სავიზიტო ბარათად“ წოდებული სახალხო მუშტი-კრივეები კი პოლიციის მიერ იდევენბოდა. ხშირად, კრივისათვის შეკრებილ ხალხს თითქოსდა საგანგებოდ, იქვე სამიკიტნოსაკენ მიერეკებოდნენ, სადაც გახურებული არყის სმა იყო გაჩაღებული. მაშინ როდესაც, მუშტი-კრივეები თბილისელთათვის იყო არა მარტო გართობა, არამედ ცხოვრებისეულ იდეალებთან თანხვედომის ფორმა – საგმირო, „სამამაცო“ თამაში და სამხედრო წვრთნის საშუალება. ცივილიზაციის „საჭიროებებს“ გადაჰყვნიენ ქალაქური ყოფის „გემო“

² მიღებული აზრით, ჩვეულების(რიტუალის) საფუძველი დანამაულის, სირცხვილის განცდაშია.. რიტუალის (იგივე ადათი) მიზანიც სწორედ ამ სახიფათო, ასოციალური იმპულსების აღკვეთა-ტაბუს დაკანონება, მორალურ-სოციალური წესრიგის გამყარებაა. ამ ანთროპოლოგიურ დებულებას ეთნოგრაფიული სინამდვილეც ადასტურებს; გაეხსენოთ ხალხური თქმა „სირცხვილს უჭირავს ქვეყანა“, ან „სირცხვილ-ნაშუსის“, „კოდო-მადლის“ და სხვა წარმოდგენები. როგორც განმეორებადი და საჩვენებელი მოქმედება, ადათი რელიგიური იდეალის სახეს იღებს და ამით, მაორგანიზებელ, გამაერთიანებელ როლს ასრულებს ხალხის ცხოვრებაში. გაეხსენოთ ცნობილი სიბრძნე, „ხმა ღვთისა ხმა ერისა“. ასე რომ, ადათ-წესებისაზოგადო შეხედულებების, ფასეულობების, ანუ ეროვნული ხასიათის(იდენტობის) თვითგამოვლენაა, რომელშიც ხალხი შეიმეცნებს და სრულყოფს თავის თავს, ხდება „ავ-კარგიანი“. პოეტისა არ იყოს, „კარგ ხასიათზე გვამყოფებს, დაგვამლევინებს აუგებს“ (არჩილი).

და „საყნოსი“ (კოლორიტი) დარდიმანდები და „პოყარნები“ – მამაცობის, მოყვასისადმი თავდადებითი ერთგულების ცოცხალი სახეები – ცეცხლში თუ წყალში გასაჭირში მყოფთ პირველნი ესენი შველოდნენო, ერთი ხატოვანი თქმით, „ქართველობა იოლად და დაუფიქრებლად კარგავდა თავის ლამაზ ფერს“ [9:337] და ამის მიზეზი იყო სწორედ ის რომ „ნევის ნაპირებიდან უნდოდათ აქაურობის მართვა. აქაურთა ცხოვრება რუსეთის შიდა გუბერნიების თარგზე უნდოდათ „გამოეჭრათ“. ისე, რომ ადგილობრივთა ზნეჩვევები, ადათი არც იცოდნენ და ხშირ შემთხვევაში ქედმაღლურად დასცინოდნენ – „აზიურს“, „ბნელს“ ეძახდნენ. „ძველთა ჩვეულებათა ჩვენთა ეცინიან“ [6:154]. ხალხის ზნე-ხასიათის (როგორც დღეს უნოდებენ, „მენტალობის“) ეს არცოდნა და იგნორირება, პოლიციური აკრძალვები კურობებამდეც მიდიოდა; კიდევ ერთი ეთნოგრაფიული ეპიზოდი – თბილისელ ამქრებს წესად ჰქონდათ დიდ დღესასწაულებში, ე.წ. „ბედნიერ დღეებში“ ქალაქის „მაღალ“ პირთა „ნახვა“ – მოლოცვა, ძღვენის მირთმევა პატრიარქის და მოქალაქეობრივი ვალის ნიშნად. თავიანთთვისაც ეს ღირსებად მიაჩნდათ. ძღვენის რაოდენობა ჩვეულების ძალით იყო განსაზღვრული, არც მოაკლდებოდა არც მიემატებოდა, რადგან სინმინდესავით უყურებდნენ, „რჯულთან“, ეკლესიასთან აიგივებდნენ. ამის უმცირესა რუსებმა ეს ჩვეულება ქრთამად აღიქვეს და „ცივილიზატორული“ მისიით შეპყრობილებმა, აკრძალეს, რამაც შემდგომ ნამდვილ კორუფციას გაუხსნა გზა. იმდენად, რომ ქართველები გაოცებული ეკითხებოდნენ ერთმანეთს, „ასრეთსა სამსაჯულოსა დაანყობს კაცი?! გარნა ასრეთი მექრთამეობა შესაძლებელია სადამე?“ [6:153]. „სალხინო“ კვირად წოდებულ ყველიერის დღეებში პოლიციის ბადრაგები მორიგეობდნენ ქუჩებში. ბიჭებს შურდულით გავლას უშლიდნენ. ამ ბიბლიურ იარაღს კი ყოველი ქართველის ჯიბეში ნახავდითო. ბაყლებს ხმამაღლა ყვირილს უშლიდნენ, მაშინ როცა გაზაფხულის დადგომას, პირველი სიმწვანის გამოჩენას ქალაქელები ზემით ხვდებოდნენ. ბაყლების ხმამაღალი შეძახილები, ბაყლა, ბაყლა, ისპანახი, წინმატი, ქალაქური ყოფის კიდევ ერთი „გემო“ იყო. მწვანილისა და ყვავილების თაიგულის გარეშე კი წარმოუდგენელი იყო სალხინო სუფრა ზამთარსა თუ ზაფხულში. წესრიგის დაცვის საბაბით, ქუჩებში ზურნის დაკვრა აკრძალეს, ზურნის გარეშე კი აბა რა დღეობა-ზეიმი არ იქნებოდა. ბიჭებს თოვლის გუნდით თამაშსაც კი უკრძალავდნენ. რადგან ყველიერის დღეებში ახალგაზრდები გამონკეპილ მოხელეებს – „ფრანტებს“ თოვლის გუნდებით არ ზოგავდნენ, თან დასცინოდნენ – „სუტ კნიაზო, შექარს ხომ არ მიირთმევთო“ [4:16]. ასევე ზემით აღნიშნავდნენ ძველად ქალაქელები განთქმულ თბილისურ ვაზის ბაღებში რთველის დაწყებას, სადაც უზარმაზარ ქვევრებში ზოგ-

ჯერ ღვინოში ჩამხრჩვალ რუს დრაგუნებსაც პოულობდნენ. ამ ბაღების ალაგას (სოლოლაკი, ვერა) ახალი, ევროპული ტიპის სახლები შენდებოდა. ბევრს მოეძალა უკვე ძველი დროების ნოსტალგია, მოხუცები დანანებით ამბობდნენ, „რაც გინახავს ველარ ნახავ... ძველი ძმობა და ერთობა აღარ არის“ [4:16]. და ამისი მიზეზი სწორედ ეს ნაძალადევი, დამთრგუნველი ბიუროკრატია – „ჩინოვნიკობა“ და ხარჯები იყო, რაც სრულიად უცხო და გაუგებარი იყო ქართველებისათვის. მარტო ერთი გუბერნატორის დროს სახელმწიფო ხარჯი იმდენი გაუზდიათ, რომ მთელ მე-18 საუკუნეში არ ყოფილაო. ეს ერთობა მაშინ დაირღვა, როცა ჩვენში შუამდგომელად შტიკი და შუბი ჩადგაო [8:143]. ეს მოიტანა ჩვენში რუსმა თავისი სიმკაცრით, სახრჩობელებით, დარბევით და აწიოკებით, ხანდახან ჩუმი და გულუხვი საჩუქრებითაც. როცა ეუბნებოდნენ, „იმპერატორი გნამდესო ღმერთად, იმპერატორი გქონდესო რჯულად“ [7:49]. ამ ტოტალური კონტროლის გამო კაცი კაცს ველარ ელაპარაკებოდა შუაში მესამე რომ არ ჩაჩხეროდა და მეზობელი მეზობელთან ველარ მიდიოდა ნებადაურთველად და მარკა დაუკვრელად. ასეთი უნდობლობა ჩამოაგდეს რუსებმაო [7:143]. ქალაქის თავის – „გოროდოვის“ დანახვაზე სული გვძვრებაო.

ცხადად გამოჩნდა ცხოვრების აქაური წესის უპირატესობა, მისი სახალხოობა-დემოკრატიულობა და სიბრძნე ნაძალადევი, უცხო წესრიგზე. რადგან მაშინ ხალხი თავად ქმნიდა თავის სინამდვილეს, მათი „რჯული“ – ცხოვრების წესი „სულ სიმართლესა და სახარების რიგზე იყო შედგენილი“ [7:143]. ის იყო მათი თავისთავადობა, შინაგანი „მე“, ამიტომ აღიქვამდნენ ადათს თავისად, მშობლიურად, ანუ „მამაშვილურად“; ქალაქური ყოფის საფუძველიც – ამქარი „მამაშვილობის“ პრინციპით იყო ორგანიზებული, ანუ ეს იყო არა მარტო პროფესიული, არამედ შინაგანი, მორალური ერთობაც, სადაც მათი წინამძღვარი – უსტაბაში უნდა ყოფილიყო საამქრო ძმობის მსახური, მოყვარული „მამა“. ამიტომ, ხელობაც კაცის ღირსებად – „საღვთო წესად“ იყო გაგებული. საერთოდ კი „ხელი – ხელობა“ ძველად, ადათთან (ხასიათის თვისებების, ქცევითი წესების ერთობლიობა), რჯულთან იგივედებოდა. რუსულ მმართველობას კი არც ხალხის ხასიათის ესმოდა და არც მისი ყოფის, „ყრუმუნჯი“ იყო [10:817]. მათი მოხელეების უმეტესობა აღმოჩნდა, „სუსტნი ზრდილობითა, უნდო, არა დამფასებელი ღირსებათა“ [6:151]. სიხარბით კი კალიებს აჭარბებდნენო. როდესაც ერთ ასეთ „ნაჩაღნიკს“ შეეკითხნენ თბილისურ ყოფაზე, უპასუხა – ხოხობი აქ ძალინ იაფიაო [10:817].

ამ შეუსაბამობამ ათქმევინა დიდ ილიას, რომ მათი კანონები ჰაერში დაფარფატებენ, ცხოვრება კი ძირს მიდის თავისთვის, შუაში კი სიცარიელეა... რომ, რაც სასარგებლოა რუსისთვის ის შეიძლება

ქართველისათვის მავნე აღმოჩნდეს; რომ ამგვარ „გავეროპელებას“ ისევ ჩვენნი, ზოგიერთთაგან გაკიცხული ვითომდა „ნახევრადველურობა“ და „ზიელობა“ გვერჩივნა, რომ „გავეროპელებამ“ ჩვენ ხალხს „ქოჩოროზე“ გადაუბრინაო [10:817]. რადგან გამაერთიანებელ, მსოფლმხედველობრივ ფორმას აქ მუდამ ქმნიდა პიროვნული „მე“, ანუ წარმოდგენები „ავ-კარგზე“, „ცოდო-მადლზე“, „პატიოსან მარჯვენაზე“, „ალალ-არამზე“, „სინდის-ნამუსზე“, „ალალ ლუკმაზე“, „ნამუსის ქუდზე“, უანგარობა – „დღევანდელი დღით ცხოვრებაზე“, გავიხსენოთ, „დარდიმანდი ფულს არ დასდევს სიძუნწე გულში არ უძევს“. დარბაისლობა – „ჭკუამკითხეობაზე“, ქვრივ-ობოლთა პატრონობაზე, რათა „ხელნაკლებსა, უქონელსა სწილობდეს“; „მამაშვილობაზე“, მონყალება – „პურადობაზე“, შდრ.: „გაცემა სჯობს მოღებასა“ თუ სხვა. რაც ერთდროულად რელიგიაც იყო მათთვის და ურთიერთობათა წესიც, რადგან „შინაგან რჯულზე“ – სინდისზე, მოვალეობის გრძნობაზე იყო დამყარებული, მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულებისაკენ მოუწოდებდა პიროვნებას, განაპირობებდა სოციალური ცხოვრების შემწყნარებელურ, ჰუმანურ მიმართულებას. უცხო რეჟიმის დამყარებამ მოშალა ეს რიტუალური მეხსიერება; ახალი კანონები ვერ „წვდებოდა“ მათ ფსიქიკურ წყობას, მათ ქვეცნობიერს. ამან მოიტანა სწორედ პიროვნების დაკნინება, გაუფასურება, სწობიზმი, ნიჰილიზმი, სოციალური აგრესიის ზრდა. შეიქმნა ვითარება, როდესაც „განათლებულობა“, პროგრესი ჩინ-მედლებით იზომებოდა, სამართალი კი ქრთამად მოტანილი არყის რაოდენობითო“ [1:459]; ანუ პიროვნების საზომად უკვე გარეგანი ფაქტორები (სამომხმარებლო-ქონებრივი ცენზი, კარიერა) იქცა და არა მორალური წარმოდგენები.*

*ჩვენმა წინაპრებმა კარგად უწყოდნენ, რომ ჰუმანურობის (ადამიანურობის), ანუ როგორც ილია ამბობდა „კაცურ-კაცობის“ საზომი იყო არა ე.წ. „ინტელექტუალობა“, წინიერება, არამედ სინდისი, მოვალეობის გრძნობა, მორალური წარმოდგენები საზოგადოდ. ამ ღირებულებების მატარებელია სწორედ „ნამუსის ქუდის“, „ქუდოსან-მანდილოსნის“, „ნამუსიანობის“ თუ სხვა წარმოდგენები და რაც იცავდა საზოგადოებას სხვადასხვა სოციალური „პაცილებისაგან“ – უიმედობა (ფრუსტრაცია), ანგარება, სწობიზმი თუ სხვა. რაც მეცნიერულადაც მტკიცდება. ანთროპოლოგები, ფსიქოლოგები საგანგებოდ უთითებენ, რომ თავისუფლება არაა მხოლოდ „ლოგიკური“, ფორმალური ცნება, არამედ ის განუყოფელია სინდისის, პასუხისმგებლობის გრძნობისაგან, რომ თავისუფლება მორალურ შეზღუდვებშია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენაშვილი დ., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961
2. ბოროზდინი კ., კავკასიური მოგონებები, ტფ., 1934
3. გრიშაშვილი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, 1986
4. „დროება“, ხალხის ჩვეულება, №16, 1876
5. „ივერია“, წერილები და სხუა რაგინდა რა რაე (ფელეტონი), №26, 1889
6. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, თბ., 1978
7. მჭედლიშვილი ი., ალექსანდრე ბატონიშვილი, ტფ., 1935
8. ორბელიანი ალ., ჩვენი ძველი სახლეულობა, ქართული მწერლობა, VIII, თბ., 1991
9. ორბელიანი გრ., წერილები, ქართული მწერლობა, VIII, 1991
10. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, თბ., 1984
11. Сборник газ. „Кавказ“, Тф; 1846

Giorgi Chinchaladze

“Becoming European” in old Tbilisi

(Ethnological essay)

Summary

In the article is considered the situation which was brought by the Russian dominant system into city-life.

Totalitarian control and bureaucracy became the reason of destruction of social balance and gave rise to moral crisis, criminal, social aggression, corruption which of course were not characteristic for Georgian people, because peoples customs, entertainment playing, music were making in them the feeling of unity and happiness. All aggressive faulty thoughts were disappearing.

Brotherhood unity and uprightness were being strengthened. Customs were laughing at “ill or weal,” among them we can mention very popular traditional city-show “keenoba.” But after falling in decay the cognitive meaning and role of unity were disordered. The contrast between people’s ideals and existing reality was depended. This irrelevant depressive situation was called “Comedy of civilization” it was used to say with regret “what you saw, you will not see again.” General point of view here was always conditioned by the motives such here “ill or weal”, “sin and charity,” “shame and conscience.”